



# გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ბ ა თ უ მ ი ს მ უ შ ა თ ა მ ა გ ი ლ ა

13 ამა ოქტომბრი-  
დან დაიარსებას ხახვს და წუმწუმას.

ხახვი სახელსწიფო დაწესებულებებში მომუშავეთათვის—გირვანქა 20 მან.  
კერძო საზოგადოებრივთათვის 25 მან.  
წუმწუმა თითო ყუთი 2 მან. და 50 კაპ. ხახვი კი მიეცემათ მხოლოდ  
კოლმედიანებს სულზედ 3 გირვანქა.

სკოლა საქმის მოწესრიგებაში ყვე-  
ლა ცხოველ მოამქმედმა ძალამ  
მხურვალე მონაწილეობა უნდა მი-  
იღოს. სკოლა, სკოლა და ისევ სკო-  
ლა, სკოლის სახალხო თეატრი და  
ხალხური წარმოდგენებიც უნდა  
თან დაჰყვეს, მხოლოდ ასეთ მუშა-  
ობას და ზომათა მიღებას შეუძლია  
ხალხის გამოფხიზლება და მისი  
ემანსიპაცია ბოროტ მოგზაენილ  
მაჯალაჯუნათაგან, ხალხს გზას რომ  
ურევინ და ავანტიურულ განზრახ-  
ვით მის გადაბირებას რომ აპირე-  
ბენ.

## საღლისო შანიშნაბი.

მოსკოვი და ლონდონი.  
(გაგრძელება\*)

ყველა ის სოციალისტები, განურ-  
ჩევლად ამისა მარქსისტებია ისინი  
თუ არა, ვინც ცნობს, რომ ბოლოს  
და ბოლოს „მუშათა განთავისუფ-  
ლება თვით მუშათა საქმეა“, წინა-  
მდგე არიან უმცირესობის დიქტა-  
ტურის უმრავლესობაზე, პარტიაში  
იქნება ეს თუ სახელმწიფოში. გან-  
საკუთრებით ეს პარტიაზე ითქმის.  
პარტიაში დაუშვებელი და შეუწყ-  
ნარებელია პიროვნების, ე. წ. „მო-  
წინავე ამხანაგების“ დიქტატურა.  
პარტია არ უნდა იყოს უსიტყვო,  
საღლისო მასა, რომელსაც საით-  
კენაც უბრძანებ იქითკენ წაიყვან,  
პარტია უნდა სკოცხლობდეს ში-  
ნაური დუდილით, აზრთა შეჯა-  
ხებით, ინტესიური მაჯისცემით.  
პიროვნებათა დიქტატურა, მკაცრი  
ცენტრალიზაცია, ცენტრის დირექ-  
ტივების უსიტყვო დაპირისპირება,  
კლავს პარტიას, აღუნებს მის მაჯის-  
ცემას, ხელს უშლის შინაგან კრი-  
ტიკას, რაც აუცილებელია საქირაა  
ტაქტიკის გამოსამუშავებლად, სწო-  
რი პოზიციის დასაჭერად.

ევროპის სოციალისტური პარტიები  
მასების გათვითცნობიერება—თვით  
შეგნებაზე ემყარებიან, იქ ხშირია  
რეფერენდუმები რომელიმე კითხვის  
შესახებ პარტიული მასის აზრის  
გასაგებათ და პარტიის ხელმძღვანე-  
ლებიც უსიტყვო უნდა დაემორჩი-  
ლონ პარტიის უმრავლესობის ნება  
სურვილს.

კომუნისტური პარტიის ბელადებმა  
პარტიაში მკაცრი იუნკერული დის-  
ციპლინა შემოიღეს, რომელსაც  
ჩრებვიანობების და რევოლიუციო-  
ნურ ტრიბუნალების საშუალებით  
იტყვენ.

თფორილათ ამ სამხედრო დის-  
ციპლინას პარტიაში ისინი რევოლი-  
უციონურ მოსახრებით ამართლებენ:  
„პროლეტარიატის ჯარი, მისი  
რევოლიუციური ავანგარდი არ ღე-  
ბულობს ზვიდან დანიშნულ წინამ-  
ძღოლებს. ის მათ თითონ ირჩევს,  
ის მათ წინ აყენებს; მაგრამ როცა  
ის მათ წინ აყენებს, ის ვალდებუ-  
ლია ყრილობიდან ყრილობამდე და-  
ემორჩილოს მათ ყოველ პირობის  
გარეშე, ვინაიდან ხელჩართულ  
ბრძოლის დროს ადგილი აღარ უნდა  
ჰქონდეს დისკუსიებს: თვით შემც-  
დარი საომარი გეგმა, თუ კი ის

\* ) იხ. „ბათ. ფურც.“ № 25.

ბოლომდის გატარებულია, ნაკლე-  
ბათ საზიანოა, ვინემ ცდა თვით  
შეტაკების დროს მებრძოლ წყევების  
გადაჯგუფებისა. ასეთი სამხედრო  
დისციპლინის ცუდი შედეგების და  
წინამძღოლთა ასეთი ძალ-უფლების  
მაგუებელი უნდა ჩაჩუმდენ იმ  
უდაო ფაქტის წინაშე, რომ ბრძო-  
ლის დროს აუცილებელია კამანდა\*.

ამ სამხედრო კომანდამ, ცენტრის  
დირექტივების უსიტყვო დამორ-  
ჩილებამ სრულებით გამოაცალა ნია-  
დავი პარტიის წევრთა გათვითცნობი-  
ერება—თვით-შეგნებას. პარტიის ნა-  
ბიჯები ნათელია მხოლოდ ხელმძღ-  
ვანელთათვის, პარტიული მასა კი  
ვერ ერკვევა ამა თუ იმ ნაბიჯის  
გადადგმის აუცილებლობაში

თუ „პროლეტარიატი, რევოლიუ-  
ციური ავანგარდი, თითონ ირჩევს  
თავის წინამძღოლებს“, ამიდან ლო-  
ლიკურად უნდა გამომდინარეობდეს,  
რომ პროლეტარიატს თავის წინამძ-  
ღოლების პოლიტიკის კრიტიკის  
საშუალება უნდა ქონდეს. როგორ  
შეიძლება ხელმძღვანელთა პოლი-  
ტიკაში პარტია იყოს პასუხისმგებ-  
ელი, როცა პარტია როგორც მასა  
არაფერა მონაწილეობას რთულ და  
სერიოზულ კითხვების გადაჭრაში არ  
იღებს და „ყრილობიდან ყრილობა  
ყოველ პირობის გარეშე“ ხელმძღვა-  
ნელთა დირექტივებს ემორჩილება.

რასაკვირველია ასეთი მკაცრი  
ცენტრალიზმის შემოღება პარტიაში,  
შინაგანი კრიტიკის ჩაკლეა, ბელად-  
თა დიქტატურა პარტიაში, შედეგია  
იმის, რომ კომუნისტური პარტია  
რუს, თუ სოციალისმის შემოღებას  
ლამობს. კომუნისტ. პარტიამ კლასთა  
ბრძოლა სამოქალაქო ომით შესც-  
ვალა და სამოქალაქო ომით აპირებს  
დასახულ მზნის მიღწევას. მას უხ-  
დება ბრძოლა არა მარტო შინაურ  
კონტრ-რევოლიუციასთან, არამედ  
მსოფლიო ბურჟუაზიასთან და „ხელ-  
ჩართულ ბრძოლაში“ დისკუსიები  
და შინაგანი კრიტიკა ზარალის მეტს  
არას მოიტანს, მაგრამ ამით ხომ არ  
შეიძლება თავის გამართლება ფაქტი  
მინც ფაქტად რჩება.

თავისთავად ბუნებრივია, რომ  
პარლამენტალურ ბრძოლას, პარტია-  
ში დემოკრატიზმს შეჩვეული ვრო-  
პის მუშათა სოციალისტური გათვი-  
ტცნობიერებული და შეგნებული  
მასები ვერ შეგუებიან მათთვის უჩ-  
ვეულო რკინის დისციპლინას, პარ-  
ტიის ბელადთა ბრძანების უსიტყ-  
ვოთ მორჩილებას.

ევროპის მუშა აფასებს თავის  
თავს, საუთარ აზრს რაიმე კითხვის  
ან მოვლენის შესახებ და ვერ შეე-  
გუება, როცა მას უბრძანებენ: დღეს  
შენ ასე უნდა იწამო და თუ ვცდები  
ერთი წლის შემდეგ შეგიძლია  
გვითხრაო.

ეს მეტი რომ არ იყოს რა თავ-  
მოყვარეობის შედეგია. კომუნისტის  
ბელადები კომუნისტური პარტიით  
და რუსეთით არ კმაყოფილდებიან  
და III-მე ინტერნაციონში შემოსვლის  
პირობათ პარტიაში და მმართველო-  
ბაში გამეფებულ დიქტატურის ცნო-

\* ) „პრავდა“ № 208. კ. რადეკი.  
„ორგ იღებები რ. კ. პ.“

ბას ითხოვენ. თითქოს კომუნისტმა  
პარტია ქვემარტება და ყველასაგან  
ამ ქვემარტების ცნობას ითხოვს.

„მე ვარ უფალი ღმერთი შენი  
და არა იყოს უნდა ღმერთი უც-  
ხონი ჩემსა გარეშე“, სწერია კო-  
მუნისტურ ცნების ფიცარზე და ვინც  
უსიტყვოდ არ ემორჩილება კომუ-  
ნიზმის ამ ცნებას „კომპროტუნისტი  
და მუშათა კლასის ინტერესების  
გაყიდველია.

„კომუნისტური ინტერნაციონალი  
მოითმენს თავის რიგში მხოლოდ  
იმთ, ვინც უსიტყვოთ ემორჩილე-  
ბა მას, როგორც თეორიაში ისე  
პრაქტიკაში.“, განუცხადეს და-  
მოუკიდებელთა დელეგატებს მესა-  
მე კომუნისტური ინტერნაციონა-  
ლის მეორე კონგრესზე.

„ვინც პრინციპიალურად არ  
სცნობს ტერორს, ვისაც სურს და-  
ცული იქნას პრესის თავისუფლება,  
ის მიღის კამ. ინტერნაციონალის  
შთავარ დებულებათა წინააღმდეგ და  
განდევნილი უნდა იქნეს.“, — ას-  
წავლიდენ დამოუკიდებელთა დე-  
ლეგატებს უცოდველი პაპის კილო-  
თი რუსული კომუნისტის მამამთა-  
რები.

ასეთივე პირობები დაუსევს ინგ-  
ლისის მუშებსაც მოსკოველმა დიქ-  
ტატორებმა.

მეტად სიგულისზნოა კომუნისტე-  
ბის პასუხი იმ კითხვების შესახებ,  
რომლებიც მათ ინგლისის მუშათა  
დამოუკიდებელთა პარტიამ დაუსვა:  
„რით განსხვავდება მე-3 ინტერ-  
ნაციონალის აზრით კომუნისტში სო-  
ციალისმის სხვა ფორმებიდან.“  
ეკითხება ინგლისის მუშათა დამოუ-  
კიდებელი პარტია კომუნისტებს.

„სოციალისმის სხვა ფორმები არ  
არის. არის მხოლოდ კომუნისტში. ყვე-  
ლაფერი სხვა, რაც თავის თავს სო-  
ციალისმს ეძახის, არის ან შეგნე-  
ბული ტყუილი ბურჟ. ლაქიების  
მხრივ, ან იმ კერძო პირებისა და  
ჯგუფების თავის მოტყუილება, რომ-  
ლებიც ირყვიან, თუ რა ამოარ-  
ჩიონ—პროლეტარიატი თუ ბურ-  
ჟუაზია, სამკვდრო სასიცოცხლო  
ბრძოლა მასთან თუ ბურჟუაზიის  
დამქაშების როლი.“ — უპასუხებენ  
კომუნისტები. რაღაშევიკება აგრეთვე  
აუცილებელ პირობათ უღებენ მე-  
სამე ინტერნაციონალში შესულ  
პარტიებს საქმით და არა სიტყვით  
დამტკიცონ თავი ერთგულება მესა-  
მე ინტერნაციონალისადმი: „ინტერ-  
ნაციონალი თხოულობს, რათა ბალ-  
შევიზმის იდეალებისადმი ერთგულე-  
ბა დამტკიცებულ იქნეს არა სიტყ-  
ვებით, არამედ მოქმედებით. მე-3  
ინტერნაციონალის რიგებში არა  
აქვთ ადგილი კომპროტუნისტებს.

ვერც ერთ ქვეყანაში ისე ვერ და-  
მარცხდება ბურჟუაზია თუ არა სა-  
მოქალაქო ომით; სამოქალაქო ომის  
წარმოება კი შეუძლებელია, თუ არ  
არის პროლეტარიატის დიქტატურა“.

ასე ამ რიგათ მესამე ინტერნა-  
ციონალის შესვეურები ურჩევნენ ევ-  
როპიელ მუშებს თავის ქვეყანაში  
გაიმეორონ სამოქალაქო ომის საში-  
ნელებანი, უკუ აგღონ ყოველივე ის,  
რაც დღემდე თითოეულ სოცია-  
ლისტისათვის წმინდათა წმინდათ  
ითვლებოდა, — დასამოს პირადი მე,  
თავისი სოფლმხედველობა და უსიტყ-  
ვოდ დამორჩილდეს რამდენიმე პი-  
როვნების დირექტივებს.

(დასასრული იქნება.)

მ. წ.—ძმ.

## აპაპი ჩხანკელის ჩამოსვლა

ბათომში ჩამოვიდა დეპ. აკაკი  
ჩხენკელი. ამ ჟამად ის თავმჯდომე-  
რობს დამფუძნებელ კრების სამხე-

დრო კომისიას, კომისიაში შედის  
აგრეთვე დამფუძნებელი კრების წე-  
ვრი, ბ-ნი გიორგი ჩხენკელი, რომე-  
ლიც ჩხენკელისა და აკაკი ჩხენკელის  
ბათომში.

გზაში აკაკი ჩხენკელი რამდენიმე  
საათით შეჩერდა ქობულეთში, სადაც  
იგი ინახულეს ქობულეთლებმა.  
ჩხენკელთან ერთად ბათომში ჩა-  
მოვიდა რეგებ-პეგ ნიჟარაძე.

## ქრონიკა.

ჯანმრთელობის დეპარტა-  
მენტის დირექტორმა თხოვნით მი-  
მართა საგანგებო კომისარს, გაცე-  
მულ იქნას განკარგულება, რათა  
შავი ჭირის საწინააღმდეგო აცრის  
მოწმობის წარმოუდგენლათ არავინ  
იქნას დაშვებული საქართველოს  
ტერიტორიაზე

სამშაბათს 12 სექტემბერს  
სალამო 8 საათზე ქალაქის საბჭო-  
ბინაზე დანიშნულია ბათომის ექიმ-  
თა საზოგადოების სხდომა.

ქალაქის საავადმყოფოში ამ  
ჟამად 121 ავადმყოფი იმყოფება.  
იმთაგან 5 სახადით ავადმყოფი, 5  
გადამდები ტიფით ავადმყოფი.

წარსულ დღის განმავლობა-  
ში იყო შავი ჭირის მხოლოდ ერთი  
შემთხვევა.

ამ დღეებში შესდგება პირ-  
ველათ იუმორისტ.სალამო ვასო ურუ-  
შაძის მონაწილეობით და ხელმძღვა-  
ნელობით.

ქალაქის თავის წასვლა გუ-  
შინ ღამის მატარებლით თბილისს  
უნდა გამგზავრებულიყო ბათომის  
ქალაქის მოურავი ბ—ნი გიგო ან-  
ჯაფარიძე.

გუშინ ღამისვე მატარებლით  
თბილისს აპირებდა წასვლას საგან-  
გებო კომისარი ბ—ნი ბენია ჩხიკვიშ-  
ვილი.

სასადილო „ინტერნაციო-  
ნალში“ სევას მოკლიდან მოსულ  
იდა ლაბრეტს დარჩა ქუთა და შიგ  
48016 მ., რომელიც სასადილოს  
პატრონმა მიითვისა, სისხლის სასა-  
მართლის მილიციის მიერ მიღებ-  
ლი ზომებით დაზნაშევე, პატრონი.  
სასადილო „ინტერნაციონალისა“,  
დატყვევებულ იქნა, ნივთები და ფუ-  
ლი კი გადაეცა პატრონს.

10 ოქტ. მებერს დატყვევე-  
ბულ იქნა ბესარიონ ქუონია, რომ-  
ელმაც გაქურდა სასტუმრო „მეს-  
ხეთი“ წაღებული ფული თანვე აღ-  
მოუჩინდა და დაზნაშევე პასუხის გე-  
ბაში მისცენ.

10 ოქტ. შეპყრობილ და  
პასუხის გებში მიტყვეულ იქნა ჩინე-  
თის ქვეშევრდომი სი—ანი ავტომობი-  
ლის ნაწილების მოპარვისათვის ინ-  
ჟინერ ვიშინსკის გარაჟიდან

ნებართვის უქონლობის გა-  
მო ჩ. ახმედ გორგილაძეს ჩამოერთ-  
ვა „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი  
გორგილაძემ აგენტ. მახარაძეს ქთა-  
მის სახით შეაძლია ხუთასი მანეთი.  
აგენტმა კი ფული და რევოლვერი  
წარუდგ ნა სისხლის სამართლის მი-  
ლიციის უფროსის თანაშემწე ლო-  
მაძეს.

8 ოქტ. თბილისის სისხლის  
სამართლის მილიციის უფროსის დე-  
პეშის თანახმად დატყვევებულ იქნა  
მოწაფე ანთაძე, რომელმაც მშობლე-  
ბი გაქურდა და ბათომში გამოიპარა.  
მოპარული ნივთები აღმოჩენილ  
იქნა სისხლის სამართლის აგენტების  
მიერ.